

ქ.თბილისი

2017 წლის 19 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 19 ოქტომბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს მეთვალყურეთა თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. ჭიჭინაძის ოქმი და მოწოდებული ვიდეომასალა, ამა წლის 13 ოქტომბერს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ მატჩზე, თბ „ლოკომოტივი“-სა და თელავის „თელავი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

შემდეგი დისციპლინარული დარღვევა :

- 1 თელავის „თელავი“-ს მორაგბე დუტა ომანაშვილი - მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
- 2 თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე რამაზ ბენდელიანი - მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
- 3 თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ნოდარ ქირათელიძე - მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.8, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი № 1 -ის 2.8 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თელავის „თელავი“-ს მორაგბე დ. ომანაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
2. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე რ. ბენდელიანი დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
3. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე რ. ბენდელიანი დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
4. კლუბ „თელავი“-სა და კლუბ „ლოკომოტივი“-ს მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 2.8 პუნქტი და თელავის „თელავსა“ და თბ „ლოკომოტივის“, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდებათ სამ-სამი საცხრილო ქულა.

